სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება №351/2017

ქ. თბილისი „13“ ნოემბერი 2017 წ.

ერთის მხრივ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორეს **ინდივიდუალური მეწარმე მალხაზ კაკალაძე** (შემდგომში "მიმწოდებელი") ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "სამუშაოები" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

1.5. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.6. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შესყიდვის ობიექტია სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური სამმართველოს შუახევის ოფისის სარემონტო საინჟინრო-სამონტაჟო სამუშაოების (CPV45351000) შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.2. შესასრულებელ სამუშაოების ჩამონათვალი და განფასება მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ის სახით წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **4,123** (ოთხიათას ასოცდასამი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გაწევასთან დაკავშირებულ, მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართეველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის გადასახადებს.

3.3. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა - ევროკავშირსა და სურსათის ეროვნულ სააგენტოს შორის ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების მხარდაჭერასთან დაკავშირებით გაფორმებული საგრანტო შეთანხმებით გამოყოფილი გრანტი (CIB).

4. სამუშაოების შესრულების ადგილი, ვადები და პირობები.

4.1. სამუშაო გაეწეული უნდა იქნას ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

4.2. სამუშაოები შესრულებული უნდა იქნას შემდეგ მისამართზე - შუახევის მუნიციპალიტეტი, ხიმშიაშვილის ქუჩა №1

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. სამუშაო ან მისი ნაწილი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. ფაქტიურად გაწეულ სამუშაოზე, შესრულებულ სამუშაოთა აქტის (ფორმა №2) საფუძველზე, მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად გაწეული სამუშაოების ღირებულების ასახვით;

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირები არიან ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების საფუძველზე, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება – უნაღდო.

6.3. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, 10 დღის განმავლობაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმის მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. გადაიხადოს გაწეული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. განახორციელოს სამუშაოები წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4.2. შემსრულებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დამკვეთს მიყენებული ზიანი, სამუშაოს ვადებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში.

8. ხელშეკრულების კონტროლი

8.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი პირები არიან **ილია სირაბიძე და ნოშრევან ზოიძე.**

8.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის ფუნქციაა გაწეული ან/და გასაწევი სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

8.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

9. გარანტია

9.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაო იქნება ხარისხიანი, მოქმედი რეგულაციებისა და სტანდარტების შესაბამისი.

9.2. შესრულებულ სამუშაოებზე ვრცელდება 3 წლიანი გარანტია. გარანტიის მოქმდების ვადის ათვლა იწყება მხარეებს შორის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

10. ფასები

10.1. შესასრულებელ სამუშაოების განფასება მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი№1-ში.**

11. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო გასაწევი ხელშეკრულების ღირებულების 0.02% ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

11.2. ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, „შემსყიდველს" დაეკისრება პირგასამტეხლო ასანაზღაურებელი თანხის 0.02%-ის ოდენობით

11.3. ხელშეკრულების 11.1. პუნქტით გათავლისწინებულ შემთხვევაში, შემსყიდველს არ ევალება ხელშეკრულების 6.3. პუნქტში მითითებული ვადის დაცვა. მიმწოდებლისთვის თანხის გადახდა მოხდება პირგასამტეხლოს გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენიდან 20 დღის განმვლობაში;

11.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% ოდენობით;

11.5. თუ ხელშეკრულების 11.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.5%-ს, შემსყიდველ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება.

11.6. პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების არსებული ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

12.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

13.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დუძლეველი ძალის ზეგავლენით.

14.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და

დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

14.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრლებისთანავე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

16. სხვა პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ს.ს.ი.პ. – სურსათის ეროვნული სააგენტო	**ინდ. მეწარმე მალხაზ კაკალაძე**
ს.კ. – 205142 200 თბილისი, მარშალ გელოვანის №6 სახელმწიფო ხაზინა ანგ. № 200122900 კოდი: 220101222 ტელ: (+995 32) 291-91-65 (30*71)	ს.კ. – 61005009878 მისამართი: ქობულეთის რაიონი, დაბა ჩაქვი, აჭარის ქუჩა №21 მომსახურე ბანკი: ს.ს. „თი ბი სი ბანკი“ ბ.კ. – TBCBGE22 ა.ა. – **GE40TB7767724506110002 1**
სააგენტოს უფროსი **ზურაბ ჩეკურაშვილი** _____	**ინდივიდუალრი მეწარმე** _____ **მალხაზ კაკალაძე**

დანართი №1

შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

შედგენილია 2017 წლის II კვარტლის დონეზე

№	საფუძველი	სამუშაოთა დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა		ღირებულება (ლარი)	
				ერთეულზე	საპროექტო მონაცემზე	ერთეულზე	საპროექტო მონაცემზე
1	2	3	4	5	6	7	8
1	სნ და წ IV-2-82 ტ-8 ცხ.46-16-3	კედლებში ღიობების გამოტეხვა.	კუბ.მ		0.4		23
	სრფ	შრომითი დანახარჯი	კაც.სთ	8.89	3.91	4.6	18
	სრფ	მანქანები	ლარი	3.35	1.47	3.2	5
2	სრფ	კედლებზე ნესტგამძლე მუყაო-თაბაშირის ფილების მოწყობა (პროფილების კედელში მონტაჟი)	კვ.მ		99.1		1,100
	საბაზრო	შრომითი დანახარჯი	კვ.მ	1	99.10	4.6	456
	8.1 - 45	თაბაშირ მუყაო	კვ.მ	1	99.10	6.5	644
3	სრფ	სამაცივრე ოთახის ჭერში დაზიანებული შეკიდული ჭერის შეცვლა	კვ.მ		4.7		71
	საბაზრო	შრომითი დანახარჯი	კვ.მ	1	4.68	4.6	22
	8.1 - 45	შეკიდული ჭერი	კვ.მ	1	4.68	10.5	49
4	სრფ	საოფისე ოთახის ჭერში შეკიდული ჭერის მოწყობა	კვ.მ		19.0		325
	საბაზრო	შრომითი დანახარჯი	კვ.მ	1	19.00	4.6	87
	8.1 - 45	შეკიდული ჭერი	კვ.მ	1	19.00	12.5	238
5	სნ და წ IV-2-82 ტ-2 ცხ.15-168-7(8); 15-161-5(6)	შიდა ზედაპირების დამუშავება და მომზადება შესაღებად	კვ.მ		99.1		332
	სრფ	შრომითი დანახარჯი 1,15*[(65,8+85,6)/2/100*70%+(11,5+15,8)/2/100]	კაც.სთ	0.6074	60.19	4.6	277
	სრფ	მანქანები 1,15*[(1+1,2)/2/100*70%+0,2/100	ლარი	0.0091	0.90	3.2	3
	4.2 - 70	ფითხი (79+29+92+32)/2/100	კგ	0.96	95.1	0.5	48
	სრფ	სხვადასხვა მასალები (1.6+1.8)/2/100*70%+0,42/100	ლარი	0.0161	1.60	3.2	5
6	სნ და წ IV-2-82 ტ-2 ცხ.15 168-7(8);	შიდა დამუშავებული ზედაპირების შეღებვა	კვ.მ		99.1		297
	სრფ	შრომითი დანახარჯი 1,15*(65,8+85,6)/2/100*30%	კაც.სთ	0.2612	25.88	4.6	119
	სრფ	მანქანები 1,15*[(1+1,2)]/2/100*30%	ლარი	0.0038	0.38	3.2	1
	4.2 - 35	წყალემულსიური საღებავი (63+63)/2/100	კგ	0.63	62.43	2.8	175
	სრფ	სხვადასხვა მასალები (1.6+1.8)/2/100*30%	ლარი	0.0051	0.51	3.2	2
7	სრფ	„მდფ"-ის კარის ჩასმა	კვ.მ		2.20		396
	5 - 82	მატერიალური და შრომითი რესურსები	კვ.მ	1	2.20	180.0	396

1	2	3	4	5	6	7	8
8	სნ და წ IV-2-82 ტ-2 ცხ.11-27-4 მისადაგებით	იატაკზე მაღალი ცვეთამედეგობის ლამინირებული პარკეტის დაგება (ღრუბელის საფუძველით და პლინთუსებით)	კვ.მ		41.1		843
	სრფ	შრომითი დანახარჯი 1,5*0,536	კაც.სთ	0.804	33.08	4.6	152
	სრფ	მანქანები 1,15*0,0365	ლარი	0.042	1.73	3.2	6
	საბაზრო	ლამინირებული პარკეტი(8.3მმ) პლინთუსით და ღრუბელის საფუძველით	კვმ	1.02	41.96	16	671
	სრფ	სხვადასხვა მასალები	ლარი	0.107	4.40	3.2	14
9	საბაზრო	ელ. სამონტაჟო სამუშაოები	გრძ.მ		20.4		84
		კაბელი			20.40	1.3	27
		ერთპოლუსა როზეტი			4.00	2.5	10
		ერთპოლუსა ჩამრთველი			1.00	2.1	2
		შეკიდულ ჭერიში ჩასმული სანათი			4.00	18	72
		ჯ ა მ ი:	ლარი				3,471
		ზედნადები ხარჯები	ლარი		10%		347
		ჯ ა მ ი:	ლარი				3,818
		სახარჯთაღრიცხვო მოგება	ლარი		8%		305
		სულ ხარჯთაღრიცხვით	ლარი				**4,123.00**

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ს.ს.ი.პ. – სურსათის ეროვნული სააგენტო	**ინდ. მეწარმე მალხაზ კაკალაძე**
ს.კ. – 205142 200	ს.კ. – 61005009878
სააგენტოს უფროსი **ზურაბ ჩეკურაშვილი**	**ინდივიდუალრი მეწარმე** **მალხაზ მალხაზ კაკალაძე**